საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 245 პარასკევი, 31 მაისი 1918 წ. № 245

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

მთავრობის დადგენილებით, თუ ოსმალეთმა სამხედრო მოქმედება განაახლა საქართველოს ტერიტორიაზე, ჯარმა სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს.—საზავო დელეგაცია ბათომში მიემგზავრება: ჩვენი ფრაქციიდან დელეგაციაში ამორჩეულია ამხ. გრ. რცხილაძე.—საქართველოს ჯარის მთავარსარდლად გენერალი კვინიტაძე დაინიშნა.—განზრახულია საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსება.—მალე გამოვა მთავრობის ოფიციალური გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა"

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ჩარჩოში დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 5 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. თავადაზნაურობის ბანკის „ნადვეტი") ბარათოვის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელში არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 29 მაისს გარდაიცვალა

ნიკოლოზ |კოლა| ივანეს ძე თაქთაქიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის მშობლები ელისაბედ ალექსანდრეს ასული და ივანე იასეს ძე თაქთაქიშვილი, მეუღლე ნინო ივანეს ასული პატარა შვილებით, ძმები იასე და მიხეილ ცოლ-შვილით, დები კატო და ნინო თაქთაქიშვილები და სოფიო ივანეს ასული ფავლენიშვილისა ქმრით და შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე რკინის გზის სამკურნალოს ეკლესიაში. 570

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბარბარე, შვილები: სოფიო და პავლე, სიძე მიშა; შვილიშვილები: ანდრო, კირილე და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1 ივნისს, მწვანეყვავილის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

ნიკო სიმონის ძე ტბეციშვილის

სულის მოსახსენებლად. 566

ღრმად დამწუხრებული ოჯახობა ომში გმირულად მოკლულ პოლკოვნიკის

გიორგი პავლეს ძის კობეშავიძისა

უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა მათ, ვინც პირადად, წერილებით, დეპეშებით თუ გაზეთის საშუალებით ანუგეშა იგი ამ ტანჯულ უბედურ დროს. 565

ტფ. ვაჭარ-მრეწველთა

კავშირის მრეწველთა ფრაქციის წევრთა წინასწარი კრება დანიშნულია პარასკევს 31 მაისს (ახალი სტილ.) საღამოს ექვს საათზე სამეურნეო ბანკის ბინაზე (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი) კავშირის წევრებს-მრეწველებს სთხოვენ კრებას დაესწრონ. 562

ქართული კლუბი

შაბათს, 1 ივნისს (19 მაისს გაიმართება)

დ. ა. არაყიშვილის

მეორე კონცერტი სამ განყოფილებად

I ეროვნული სიმღერები, II რომანსები

III სიმფონიური განყოფილება

სოლისტებად გამოვლენ: ივ. სარაჯიშვილი, ს. გაბაშვილისა და ე. ბორინა სხვათა შორის შესრულებული იქნება პირველად ქართული რაფსოდია და რუსთაველის და ნინოს დუეტი.

ორკესტრს ხელმძღვანელობს თვითონ ავტორი. დასაწყისი საღამოს 8½ ს.

ქართული კლუბის ადმინისტრაცია. 1169 ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა

კვირას 2 ივნისს 1918 წ. დილის 12 საათზე.

კოტე ფოცხვერაშვილის და ნიკო ქართველის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართულ სარევოლუციო და ეროვნულ

ჰიმნ საგალობელთა აკადემია

მონაწილეობენ: სიმფონიური ორკესტრი და ქალ-ვაჟთა გუნდი მიერ შესრულებული იქნება სხვა და სხვა ავტორების საუკეთესო თხზულებანი ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, ქართული მარშები და სხვანი.

დასაწყისი დილის 12 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

აფიშები არ გამოვა. 1179

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

ხოლოდილნის ბრ., მუშტ. ბაღი, ხაჯ. ბაღის შესავ.

[illegible] საზამთრო შენობა, ტელეფ. 13—[illegible].

დღეს, 31 მაისს გაიმართება

ტფ. საზოგადოების საყვარელი მსახიობის

პ. ელიზაროვის ბენეფისი

გაიმართება დიდი „კაბარე" მხოლოდ დღეს იქნება გასტროლი მუსულმან მოჭიდავის დაღესტნის ლომის სალი-სულეიმანისა. სულეიმანი დღეს თავის ძალას აჩვენებს საზოგადოებას: მრავალი საყურადღებო და განსაცვიფრებელ ნომერს აჩვენებს ის.

დასაწყისი 8 ს. სულეიმანი გამოვა 10 საათზე. 569

6 ივნისს (ახალი დროით) დილის 11 საათზე

ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

გაგრძელება

ტფილისის ქართველ-ვაჭართა და მრეწველთა კავშირის

დამფუძნებელი კრება

განსახილველი საგნები:

1. ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა.
2. ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა.
3. ამორჩევა გამგეობის წევრებისა.
4. ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე შინაური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზე გამოსვლას.

567 საორგანიზაციო კომისია.

მესამე ქართულ საარტილერიო ბრიგადაში

მიიღება მოხალისეები. ბრიგადა დროებით „ცარსკიე კოლოდცი"-ში იმყოფება. ჩაწერა შეიძლება დივიზიონის სამართველოში (მე-2 ქართულ დივიზიის შტაბის ბინაში) დილის 11—1 საათამდე (მიხეილის ქუჩის კუთხე). 568

სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა გიმნაზია მასწავლებელთა კოლეგიისა

მისაღები ეგზამენები დაიწყება 3 ივნისს II, III განყოფილებაში, I, II, III, IV, V და VI კლასებში თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილ. 10 ს. 3 საათ.

ალექსეევის ქუჩა № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 558

იშვიათი შემთხვევა

შეგიძლიათ საუკეთესო მოწყობილობა შეიძინოთ: მშვენიერი შავი მოწყობილობა სასტუმრო ოთახისათვის, სადაფის ინკრუსტაციით, 14 საგნით: ორი სარკე—ტრიუმო. 2 გობელინი, სასადილო ოთახის მოწყობილობა, სურათები, ორი სერვიზი სასადილო (300 მან. და 1200 მან.), როიალი, შირმები, ელექტრონის არმატურა და სხვა წვრილმანი ავეჯი. არაგვის ქ. № 14, მომრიგებელ სასამართლოს პირველ განყოფილების მახლობლად. ნახვა შეიძლება 12—5 ს. შესვლა ეზოდან. 571

ტფილისი. 31 მაისი 1918 წ.

შინაური შემოქმედება. შინაური შემოქმედებითს სახელმშენებლო მუშაობას მარტო ობიექტიური პირობები არ უშლიან ხელს. რა თქმა უნდა იმ დროს როდესაც ჯერ კიდევ ომის ლიკვიდაცია არ მომხდარა, როდესაც მტერი კარზე გვადგას და არც არავითარ სურვილს იჩენს მშვიდობიანად გაათავოს საქმე,—ამისთანა პირობებში დამშვიდებული სახელმშენებლო მუშაობა შეუძლებელია. მაგრამ მარტო ეს გარეშე პირობები არ გვიშლიან ხელს. უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია შინაური ანარქია და სრული მოუწესრიგებლობა ერთის მხრით ადმინისტრატიული აპარატისა და მეორის მხრით სასამართლოსი. აუცილებლად საჭიროა საფუძველი ჩაეყაროს მტკიცე ადმინისტრატიულ აპარატს და ფუნქციები სასამართლოსი აღდგენილ იქმნას. ადმინისტრატიული აპარატის აღდგენამდე აუცილებლად მოგვიხდება ახალი ადმინისტრატიული გადამიჯვნა. ძველებური გუბერნია ძალიან დიდი ადმინისტრატიული ერთეულია საქართველოსათვის. აუცილებლად შესაძლებელია რამდენიმე მაზრა გაერთიანდეს და ამნაირად, საზღვრების ცოტაოდენი შესწორებით, შეიქმნას რამდენიმე უფრო პატარა გუბერნია. ეს ხელს შეუწყობს მომავალ საერობო საქმესაც, როდესაც შეიძლება საშუალო საერობო ერთეული—სამაზრო—სულაც მოისპოს და დარჩეს მხოლოდ საერობო ერთეული—სასოფლო და საგუბერნიო. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა. მაგრამ დღესვე აუცილებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ერთის მხრით და იუსტიციის სამინისტროს მიერ—მეორეს მხრით სასწრაფო და ენერგიული ზომები უნდა იქმნას მიღებული, რათა მტკიცე ადმინისტრატიული აპარატი შეიქმნას და სასამართლომაც დაიწყოს მუშაობა.

თუ ეს ორი ძირითადი გამოხატულება სახელმწიფოებრიობისა—ადმინისტრაცია და სასამართლო—სათანადოდ არ არის მოწყობილი, ჩვენი საკანონმდებლო ორგანო—ეროვნული საბჭო—და მთავრობა წესიერ და ნაყოფიერ მოქმედებას ვერ მოახერხებენ.

დამოუკიდებელ საქართველოს ეროვ. საბჭო

29 მაისის სხდომა.

ამ დღის სხდომას, რომელიც სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნა, თავმჯდომარეობს **ნოე ჟორდანია**, რომელიც მოახსენებს კრებას დღის წესრიგს: 1) მილოცვანი; 2) სამანდატო კომისიის მოხსენება; 3) პრეზიდიუმის არჩევანი; 4) მთავრობის მოხსენება ოსმალეთ-გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების შესახებ და 5) არჩევა კომისიებისა.

პირველად ეროვნულ საბჭოს მიესალმება **უკრაინის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ხიმენკო**, მართალია, ამბობს იგი თავის მოკლე სიტყვაში, უკრაინისა და საქართველოს ცა შეგრაგნილია შავი ღრუბლებით, მაინც იმედი გვაქვს რომ დიადი ერი საქართველოსი უკრაინასთან ერთად განსაცდელიდან გამარჯვებული გამოვა. წმინდა მთელი ჩემი გრძნობანი გამოვსახე პატარა მიმართვით უკრაინულ ენაზე: გაუმარჯოს დამოუკიდებელს, თავისუფალს, დიადს და ლამაზ საქართველოსა,—ასე დაათავა თავის სიტყვა უკრაინულად. ძლიერი ტაში როგორც საბჭოსი, აგრეთვე გარეშე საზოგადოებისა იყო პასუხი გულწრფელ მილოცვისა.

შემდეგ მისალმება ლიტოველთა სახელით დაილიდა, რომელიც კითხულობს მისალმების იმ ტექსტს, აქაური ლიტოველთა ეროვნულ კომიტეტს რომ თავის სხდომაზე საგანგებოდ შეუმუშავებია.

დარბაზი ამ სალამსაც ტაშით ეხმაურება.

ასევე წრფელი გრძნობით გამთბარი იყო პატარა და შინაარსიანი სიტყვა ტფილელ ებრაელთა კომიტეტის თავმჯდომარის **გრუზენბერგისა**. იგი იგონებს, რომ ებრაელ ერის ხსოვნიდან წარუხოცველია საამო მოგონება იმისი, რომ ჟამსა საქართველოს დამოუკიდებლობისა საქართველოში მოსახლე ებრაელობა მოქალაქობრივ უფლებით სარგებლობდა სხვა ერებთან ერთად. ამის გამო, ამბობს იგი, აქაური ებრაელობა ყოველთვის გვგრძნობდეთ განუყოფელ და ორგანიულ ნაწილად მთლიან დემოკრატიისა. ბოლოს სიტყვას ასე ათავებს: გაუმარჯოს და იყვავილოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა!

რადგან მომლოცველნი აღარ არიან ეროვნული საბჭო გადადის მეორე საკითხზე—ისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას. ამ საკითხის შესახებ მომხსენებელია [illegible] (სოც.-დემ.) იგი საბჭოს აგონებს იმ ორ დადგენილებას, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ გამოიტანა—პირველი დადგენილება იყო საერთო რიცხვი საბჭოს წევრებისა 60 ყოფილიყო, (28 მენშევიკი, 4 ალიონელი, 10 სოც.-ფედერალისტი, 9 ნაციონალ დემოკრატი, 2 უპარტიო, 1 რადიკალ დემოკრატი). მეორე დადგენილება ეროვნულმა საბჭომ გარემოების და მიხედვით შესცვალა იმ სახით, რომ სეიმის ქართველი წევრნი ყოფილიყვნენ დამატებით ეროვნულ საბჭოს წევრებად. ამ დადგენილების გამო ეროვნულ საბჭოში არიან 88, ამათში 51 მენშევიკი, 9 სოც. რევოლუციონერი, 11 სოც.-ფედერალისტი, 10 ნაც.-დემოკრატი, 1 რად.-დემოკრატი, 4 ალიონელი, 2 უპარტიო.

დღეს კომისიაში გამოითქვა აზრი, ამბობს მომხსენებელი, რომ წევრთა რიცხვი გადიდდეს 120-მდე. ასე რომ თუ ამ რიცხვს მივიღებთ, მაშინ ასარჩევია და საბჭოში ახლად მისაღები წევრებად 32 კაცი. პარტიათა შორის ეს რიცხვი ასეა განაწილებული: სოც.-დემ. 17, სოც.-ფედ. 5, ნაც. დემ. 5, ალიონ. 1, სოც.-რევ. 3, რად. დემ. 1, უპარტიოებს კომისიამ არ მიუმატა რიცხვი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რადიკალ დემოკრატების პარტია, როგორც მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, გარკვეულ პროგრამის მატარებელია და პოლიტიკური მისი ფიზიონომიაც უფრო გარკვეულია, ვიდრე უპარტიოებისა. გარდა ამისა წმინდა ტეხნიკური მიზეზიც იყო იმისა, რომ უპარტიოებს რიცხვი არ მოუმატეთ. არ ვიცოდით ვინ არიან უპარტიონი, ვისთვის მიგვემართა, რადგან უპარტიოებს არავითარი ორგანიზაცია არა აქვთ. კომისიას წინადადება შემოაქვს თავდაპირველად გადაწყდეს საკითხი: რამდენი წევრი იყოს საბჭოში 120 თუ 88?

ი. მაჭავარიანი. (ნაც. დემ.) წარმომადგენლობა კომისიას უკანონოდ აქვს შემუშავებული, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ეს დავა აქ გამოვიტანოთ, ამიტომ ამას აქ არ დავასაბუთებ.

გ. ჟურული. ფინანსთა მინისტრი. მთავრობა მოითხოვს ეს კითხვა გადადებული იყოს, რადგან მას აქვს მეორე კითხვასთან კავშირი, სახელდობრ, ჯერ გამოსარკვევია ჯამაგირი ექნებათ თუ არა წევრებს. მხოლოდ შემდეგ ამ კითხვის გადაჭრისა უნდა გადასწყდეს წევრთა რაოდენობის საკითხი.

ირ. წერეთელი. ეს ისეთი საკითხია, რომ მისი გადადება არ შეიძლება. ჯერ ერთი სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლიან სასყიდელი თავის წარმომადგენლებისთვის აძლიოს, ხოლო თუ ეს ვერ შესძლო, მაშინ სასყიდლის საკითხსაც როგორმე მოვაგვარებთ ან მოვსპობთ ან შევამცირებთ.

შალვა მიქელაძე (სოც.-ფედ.) საქართველოს სოც.-ფედ. ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია დარჩეს წინანდელი რიცხვი და მოვითხოვთ წევრთა რაოდენობა 120-მდე გადიდდეს. ამას მოითხოვს საქმის ინტერესი, საჭიროა კომისიაში ცხოველი მუშაობა, ხოლო კომისიებისთვის თუ წევრთა რიცხვი არ გავამრავლეთ, საკმარისი ხალხი არ გვყავს.

გ. ჟურული. რადგან მთავრობა საბჭოში ერთსულოვნებას ხედავს ამ საკითხის გამო, ამიტომ იგი თავის წინადადებას ხსნის. წინადადება წევრთა რიცხვის 120-მდე გადიდებისა გადის ხმის აბსოლუტური უმრავლესობით წინააღმდეგ ორისა.

შემდეგი მორიგი საკითხია პრეზიდიუმის არჩევა.

ირ. წერეთელი სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით წინადადებას იძლევა არჩეულ იყოს პრეზიდიუმში ხუთი კაცი: ერთ თავმჯდომარედ, ორი მის ამხანაგად, ერთი მდივნად და ერთიც მდივნის თანაშემწედ. წერეთელი აგრეთვე წინადადებას იძლევა ფრაქციის სახელით, რომ დღეს არჩეული იყოს მარტო თავმჯდომარე, ხოლო კანდიდატად ამ თანამდებობაზე მისი ფრაქცია ასახელებს **კარლო ხიმონის ძე ჩხეიძეს**.

მენშევიკთა წინადადებას საქართველოს საბჭო უკამათოდ იღებს და თავის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევს განსვენებულ სეიმის ყოფილ თავმჯდომარეს.

კარლო ჩხეიძე, რომელსაც საპრეზიდიუმო მაგიდასთან გამოჩენისთანავე საბჭო და დამსწრე საზოგადოება დიდს და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს, იჭერს თავმჯდომარის ადგილს და საბჭოს მიმართავს ასეთი სიტყვით: მოქალაქენო, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო! რა შედეგიც უნდა მოჰყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ეს აქტი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა წარმოადგენს ერთს უდიდესს აქტს. მე მგონია, რომ ქართველი ხალხი ამ აქტის შემდეგ დაადგა იმ დიდ გზას, რომლითაც დღემდე მიდიოდა და დაიარება დღესაც მთელი კულტურული კაცობრიობა. მაგრამ ეს სავალი გზა ყოველთვის და ყველასთვის ეკლიანი იყო და ის დიდი გზაც, რომელსაც ჩვენ დავადექით, შეუძლებელია მარტო ია-ვარდით იყოს მოფენილი, შეიძლება ამ გზაზე წავბორძიკდეთ, შეიძლება სასოწარკვეთილება მოგვგვაროს, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ ყოველთვის ერთით, რომ ამ გზაზე შევხვდებით ბევრ სხვა ერს, რომელნიც ჩვენზე გამოცდილნი არიან და მიისწრაფიან იქით, სადაც ადგილი არ ექნება არც კლასობრივს უთანხმოებას და არც ეროვნულ შუღლს. ჩვენი ერი უნდა შეიქმნას ბედნიერი, მარაქიანი და დოვლათიანი. მე მადლობელი ვარ იმ მძიმე ტვირთისთვის, რომელიც მე დღეს დამაკისრეთ და იმედი მაქვს თქვენც დამეხმარებით ნაკისრ ვალის პირნათლად შესრულებაში. კვლავად გმადლობთ, (ტაში).

შემდეგი საკითხი—განაგრძობს ახლად არჩეული თავმჯდომარე—მოხსენება მთავრობისა საზავო მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

ნოე რამიშვილი (პრემიერი). საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა თუ არა და რა წამს არჩეული იყო თქვენგან დროებითი მთავრობა, უკანასკნელმა თავის ვალად ჩასთვალა ყოველი ღონისძიება იხმარა, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა უცხო სახელმწიფოებს ეცნოთ და მათ აღიარებინათ იგი თანასწორ ახალ წევრად სახელმწიფოთა შორის. მთავრობამ იცოდა, რომ გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე, ბათომიდან რომ ბერლინისკენ მიემგზავრებოდა, გზად ქ. ფოთში იყო. ამიტომ მთავრობამ გამგზავნა თავის წარმომადგენელი ფოთში დამოუკიდებლობის შესახებ გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარესთან მოლაპარაკებისათვის. შედეგი ასეთი არის:

გერმანიის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, რის დასამტკიცებლად იგი ნიშნავს დროებით დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს რესპუბლიკასთან და კონსულს ქ. ფოთში (ძლიერი ტაში) გერმანია აღუთქვამს საქართველოს დამოუკიდებლობა დაიცვას და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა უზრუნველყოს (ძლიერი ტაში), გერმანიის საიმპერიო მთავრობა აგრეთვე კისრულობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარონ ოთხთა კავშირმა და რუსეთის მთავრობამ. (ძლიერი ტაში).

ამ რიგად ჩვენსა და გერმანიას შორის მეგობრული კავშირი ხაზგასმით აღდგენილია. ამას აცხადებს მთავრობა და იმედოვნებს, რომ ხალხი გაიზიარებს იმ გზას, რომელსაც მთავრობა დაადგა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მეგობრული კავშირი აღდგენილი იქნება დიდ მეზობელ სახელმწიფოსთანაც, ოსმალეთთან.. ამ მიზნით ჩვენ ვგზავნით წარმომადგენელს ბათომში.

ულტიმატუმის შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას. ხალილ-ბეიმ აკაკი ჩხენკელს, მაშინ ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს, ჩააბარა 26 მაისს, საღამოს 8 საათზე, ჩხენკელმა მაშინ ოფიციალურად არ იცოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს აქტი მას ეცნო 45 წუთის შემდეგ ხალილ-ბეისაგან ულტიმატუმის ჩაბარებისა, რომელიც ჩხენკელს გადაეცა, როგორც ყოფილ თავმჯდომარეს აწ განსვენებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკისას.

ოსმალეთის საიმპერიო მთავრობა თავის ულტიმატუმით მოითხოვს საზღვარი დაიდოს მდ. ნატანების გასწვრივ. ოსმალეთში შედის ახალციხე-ახალქალაქის მაზრა, სურმალინის დიდი ნაწილი, ერევნის მაზრის ნახევარი და შარურო-დალაგეზისა. მის ხელში გადადის სად. ჯულფას აღმოსავლეთით მდებარე ადგილები. მაშასადამე, ალექსანდროპოლ (გიუმრი)-ჯულფას გზას ოსმალეთი მოითხოვს. იგი ითხოვს აგრეთვე უფლებას ისარგებლოს ყველა რკინის გზებით, იგი ითხოვდა კიდევ უფლებას მოკრიფა თავისუფლად მოხალისენი ამიერკავკასიის რესპუბლიკაში. მაგრამ უმთავრესი მისი მოთხოვნილება იყო, ებრძოლა მას იმ ბრბოების წინააღმდეგ, რომელნიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩნდებიან.

მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც ჩვენი, აგრეთვე ოსმალეთის სახელმწიფოს მოღვაწენი მოსურნენი არიან კეთილ მეზობლური კავშირი დამყარდეს ამ ორ სახელმწიფოთა შორის და იმ იმედით უნდა ვსულდგმულობდეთ, რომ ოსმალეთი გაჰყვება იმ გზას, რომელსაც დაადგა გერმანია. (ტაში)

რადგან საბჭო არ გამოსთქვამს სურვილს კამათი გაიმართოს მთავრობის მოხსენების გამო, ამიტომ იგი ერთხმად იღებს სოც.-დემ. ფრაქციისგან წარდგენილ ფორმულას: საბჭო ისმენს მთავრობის მოხსენებას, იწონებს მის მოქმედებას და გადადის მორიგ საკითხებზე.

შემდეგ კრება ისმენს მილოცვებს: ქართველ ებრაელებისას და ელლინელთა ეროვნულ საბჭოისას. პირველი მისალმება რუსულად, ხოლო მეორე ბერძნულად.

თავმჯდომარე. შემოსულია შეკითხვა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციისა, სურს თუ არა კრებას შეკითხვა მოისმინოს.

საბჭო ადგენს მოისმინოს შეკითხვა და ამიტომ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს, შემდეგ შეკითხვის წამკითხველსა, გრ. რცხილაძეს.

გრ. რცხილაძე. ის ხმები, რომ მოხდა ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადება აქ, საქართველოს დედაქალაქში, ძალიან გავრცელდა. რამდენად მართალია ეს ხმები, ჩვენ არ ვიცით. შეკითხვის ერთერთი მიზანია გამოვარკვიოთ სინამდვილე. ამის და დამოუკიდებლივ ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობას ჩვენ სრული კმაყოფილებით შევხვდებით, მაგრამ ერთ და იმავე ტერიტორიაზე ორ ერთი მეორისგან დამოუკიდებელ მთავრობის მოქმედება ყოვლად წარმოუდგენელია. ეს შეუძლებელია თეორიულად და პრაქტიკულადაც დიდ უხერხულ შედეგებს იწვევს. ამიტომ ჩვენ ვეკითხებით მთავრობას მართალია ეს ხმები თუ არა, და თუ მართალია, რა ღონისძიება აქვს მიღებული ან განზრახული მთავრობას?

ნ. გვაზავა. (ნაც.-დემ.) მართალია, ხმები, რომ ადერბეიჯანი ტფილისში დამოუკიდებლობას აცხადებსო, დადიოდა. მაგრამ ამაში, თუ ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა, ბრალი უფრო ჩვენ მიგვიძღვის. ჩვენ ისე ავრიეთ ყოველი პოლიტიკური ცნება, რომ ეხლა იმათ შესაძლებლად მიაჩნიათ ერთ და იმავე ქალაქში ორი მთავრობა იყოს. ჩვენი ბრალია იმიტომ, რომ ჩვენ ვამბობდით: ფედერაცია, კონფედერაციაო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ადერბეიჯანს შეგნებული პირნი ჰყავს, იმათ კარგად იციან, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებლობა ადერბეიჯანისა სხვის სახელმწიფოში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხმა მხოლოდ ხმა არის.

სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე. მოქალაქენო, ქართველ ხალხის წარმომადგენელნო! თუმცა მთავრობას დეკლარაცია არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ქვაკუთხედად თქვენგან არჩეულის მთავრობისა იქნება და არის ჩვენი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვა. როცა ეს ხმები გავრცელდა, მე ვიყავ მოადგილედ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა. მე მივმართე ადერბეიჯანის აქაურ წარმომადგენლებს კითხვით, რამდენად სინამდვილეს შეეფერება გავრცელებული ხმები მეთქი, მათ მიპასუხეს, რომ ამ კითხვისთვის მათ ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ. მაშინ მე კატეგორიული ფორმით განუცხადე, რომ საქართველოს მთავრობა ყოველი ღონით შეებრძოლება და მოსპობს მისი სუვერენიტეტის შელახვას. მათ მერე შემატყობინეს, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტფილისში გამოცხადებაზე ულაპარაკნიათ კერძო თათბირზე, რომ ადგილობრივმა მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ არა ტფილისში, არამედ განჯაში, მაგრამ რადგან იქ რადიოს სადგური არ არის, ამიტომ იგი ითხოვს, რომ ეს აქტი ეუწყოს უცხო სახელმწიფოებს ტფილისის რადიო სადგურიდან. გარდა ამისა ისინი ითხოვენ, რომ საერთო დაწესებულებათა ლიკვიდაციის დროს ყველა ერის წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა ლიკვიდაციაში. ამ რიგად, მიღებული პასუხი, ჩვენი მთავრობის აზრით, არის სავსებით დამაკმაყოფილებელი.

გრ. რცხილაძეს შეაქვს ასეთი ფორმულა: საბჭომ მოისმინა მთავრობის განმარტება, კმაყოფილდება მით და გადადის მორიგ საკითხებზე.

უკანასკნელი საკითხი დღიურ კრების წეს რიგის მიხედვით არის არჩევანი სხვა და სხვა კომისიებისა. რადგან თავმჯდომარეს არავითარი სია საკომისიო კანდიდატებისა არ მისვლია, ამიტომ იგი წინადადებას იძლევა ეს საკითხი შემდეგ სხდომისთვის გადაიდოს. მაგრამ გ. გვაზავა იმ აზრისაა, რომ საჭიროა ეხლა თუნდ ერთი კომისიის არჩევა, რომელიც სასახლეს დაათვალიერებს და მის შენობებს შეუფარდებს ეროვნულ საბჭოს საჭიროება—მოთხოვნილებათ. საბჭო ამ აზრს იზიარებს და ირჩევს კომისიას 7 კაცისაგან. იმათში 4 მენშევიკია და თითო სოც.-ფედერალისტი, ესერი და ნაციონალ-დემოკრატი.

სხდომა სრულდება ნაშუადღევის სამის ნახევარზე.

საქართველოს მთავრობის პირველი სხდომა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის (საამისიო უფლებებით) დაარსების შესახებ დადგენილია: ეს საქმე გადაეცეს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექციას, რომლის შემადგენლობაში შევლენ ფინანსთა მინისტრი ჟურული და მისი ამხანაგი კანდელაკი.

ქართულ ლაშქრის შტაბს დაევალა წარმოადგინოს საომარ მოქმედების ოფიციალური ცნობები მხოლოდ იმ საომარ მოქმედების შესახებ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სწარმოებს. სხვა ომის დეპეშები კერძო დეპეშებთან იქნება მოთავსებული. რუსულ კორპუსს დაევალა მთავრობას მთელი თავისი ქონება გადასცეს.

დადგენილია გამოიცეს ქართული ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის" სახელით, რომლის რედაქტორად გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი პ. ი. ქავთარაძე იქნება მოწვეული. გაზეთი „კავკაზ" დროებით დარჩება.

სურსათის მინისტრის ამხანაგად დანიშნულია საბაშვილი.

სამხედრო მინისტრის ამხანაგი გ. ი. კვინიტაძე დანიშნულია ქართული ლაშქრის მთავარ სარდლად.

მთავრობაში.

მინისტრთა თანაშემწეები.

დაინიშნენ: ი. მალანია—გზათა მინისტრის ამხანაგად, ალ. მდივანი—სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად, პ. გელეიშვილი—მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგად, ი. ფიოცხლაიშვილი—შრომის მინისტრის ამხანაგად, ზურაბ ავალიშვილი—საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად, ი. ყიფშიძე—სამთო სამართველოს საგანგებო რწმუნებულად.

—

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დროებით ძალაში დასტოვა ამიერკავკასიის მთავრობის დადგენილებები საფინანსო საკითხების შესახებ.

—

ფინანსთა სამინისტრომ ზომები მიიღო უზრუნველყოს კერძო ბანკებში ფულის შემნახველნი, რის შესახებაც სახელმწიფო ბანკის გამგემ უკვე გასცა სათანადო განკარგულება.

—

მთავრობამ დაადგინა წინადადება მისცეს სომხისა და მუსლმანთა ეროვნულ საბჭოებს თითო რწმუნებული დანიშნონ სამხედრო მინისტრთან.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო

(დეპეშები)

ქუთაისი 29 მაისი. გაზ. „ხმა ებრაელის" რედაქცია მხურვალ სალამს უძღვნის ქართველ ერს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ერთა მრავალ—ვარსკვლავოვან დროშაზე ამიერიდან აღდგენილ საქართველოს ვარსკვლავიც გამოაშუქებს; ქართველი ერი სიხარულით შესწირავს ყველაფერს მის ასაყვავებლად. ქართველი ისრაელები, რომელნიც მუდამ მზად იყვნენ ქართველებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი და ემუშავნათ მშვენიერ საქართველოს საკეთილდღეოდ, დარწმუნებული არიან, რომ განთავისუფლებული ერი, ვისთანაც ისინი მრავალი საუკუნე ძმურად სცხოვრობდნენ, ხელს შეუწყობს საქართველოს ისრაელების (400 ათასის) ეროვნულ-კულტურულ განვითარებას.

ომის დეპეშები

ტფილისი 30 მაისი „ანდონსანი".

გერმანიის ტრანს-ოკეანის პრესბიუროს ცნობა (გადმოცემულია ინგლისურად). ინგლისელები და ფრანგები წითელი ჯვრის დროშებით ბოროტად სარგებლობენ, რათა ამ რიგად ისარგებლონ ხელშეუხებლობით და ებრძოლონ გერმანიას. უკანასკნელ ხანებში ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ ინგლისელი და ფრანგი ჯარისკაცები და ოფიცრები სანიტარების როლში უახლოვდებოდნენ ჩვენს თხრილებს დაზვერვის მიზნით. გერმანულ ავიატორობას მიერ გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებით გამოირკვა, რომ ინგლისელებსა და ფრანგებს საომარი მასალები მოჰქონდათ ფრონტზე წითელი ჯვრის ნიშნის ქვეშ. ამავე წესით იგზავნებოდა ფრონტზე ტრანსპორტები. ნამდვილად კი ეს სალაზარეთო ვაგონები, ზარბაზნებითა და საომარი მასალებით დატვირთული, ფრონტზე მიდის. ინგლისელები გზავნიან აგრეთვე თავის „ტანკებს" წითელი ჯვრის ნიშნით, როგორც სანიტარულ ავტომობილებს. უსირცხვილო ბოროტმოქმედება, რომელსაც ინგლისელები სჩადიან მოწყალების სიმბოლოს ქვეშ, სისტემაშია შეყვანილი ზღვაშიაც, სადაც სალაზარეთო გემების სახით დასცურავენ გემები, ამუნიციითა და ჯარით დატვირთულნი.

ბერლინი. 28 მაისი. გერმანიის საომარი ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. კემმელსა და ლისთან სომისა და უაზის ორსავე ნაპირას გუშინ დილით არტილერიო ბრძოლა გამწვავდა. ფორნვილსა და ლოკრეს შუა ჩვენ შევიჭერით ფრანგების ხაზში და 800 კაცი დავატყვევეთ. გერმანელ კრონპრინცის შეტევა ლაონის სამხრეთით ბრწყინვალედ დამთავრდა; იქ მყოფი ინგლისელები და ფრანგები ჩვენ გავრეკეთ. გენერალ ფონ-ბოინის ლაშქარმა შემენ-დე-დამი აიღო. რომელიც დიდ მთაგრეხილს წარმოადგენს და სადაც ფუჭად ჩატარდა ფრანგების გენერალური შემოტევა 1917 წლის გაზაფხულს. ის მაშინ ჩვენ სტრატეგიული მოსაზრებით დავტოვეთ და ეხლა კი კვლავ ხელში ჩავიგდეთ. ძლიერი საარტილერიო მზადების შემდეგ ჩვენმა შეუდარებელმა ქვეითა ჯარმა ისარგებლა სარიჟრაჟო ბინდით და დაიკავა ელეტის გადასავალი, და შემდეგ ინგლისელების თხრილებში შეიჭრა კონბერნესა და ეშნეს აღმოსავლეთით. მტრის ნაწილები ამას არ მოელოდნენ და ამის გამო სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს. უკვე დილით, ადრე, ჩვენ აღებული გვქონდა პინონ-სავინიონი, მალმეზონის ფორტი, კურტეკონი, სერნი, ვინტერბერგი ფრაონზე ვილლერსბერგი, ბერრი-ო-ბაკის გამაგრებული ადგილები და ჩრდილოეთით მდებარე ადგილებიც შუადღეზე ვეილსა და ბერრი-ო-ბაკს შუა ბრძოლის დროს... (გამოტოვებულია) ჩვენ ვეილი ავიღეთ. შარშანდელი საგაზაფხულო და საშემოდგომო ბრძოლის ველი თხრილებით არის მოფენილი: ეს ველი ჩვენ დავიკავეთ შეტევის შემდეგ. დღისით შეტევა გრძელდებოდა ვოკევლონსა და ვეილს შუა. ჩვენ ვდგევართ მაღლობებზე ნეივილის და ლაფესა მახლობლად და კონდეს ჩრდილოეთით. ვეილსა და ბერრი-ო-ბაკს შუა ჩვენ ეხნე გადავლახეთ და ბრძოლა იმ რაიონში გადავიტანეთ, სადაც ომის დასაწყისიდანვე საომარი ოპერაციები არ ყოფილა. მტერი კვლავ გავდევნეთ გამაგრებულ ტყიან ადგილებიდან ვეილსა და ბერრის შუა ჩვენ მიუახლოვდით ვეფლეს მაღლობებს ჩრდილოეთით. გენ. შელერის ლაშქარმა გარეკა მტერი მის პოზიციებიდან სავინიოლსა და ბრიმონტს შუა, გარეკა ესნე-მარნის არხს იქით და არხის დასავლეთ ნაპირას აიღო დაბები კანისი-კორი და პუაერი. დღემდე 15,000 ტყვე ჩავიგდეთ ხელში. მაისსა და სიუზელს შუა და ლოტარინგიის ფრონტზე ბრძოლა კადლიერდა, აქ ჩვენ მტრის ხაზებს დაეეცით და 150 ფრანგი და ამერიკელი დავატყვევეთ.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს სამშვიდობო დელეგაცია.** რადგანაც ოსმალეთის ულტიმატუმი საქართველოს რესპუბლიკასაც ეხება, დადგენილია ბათომში გაიგზავნოს სამშვიდობო დელეგაცია.

ეროვნება და ეროვნული თავისუფლება

(გაგრძელება *)

რაკი ასეთი მძლავრია და დიდი საზოგადოების მნიშვნელობა ადამიანის ბუნების გასარკვევად, ცხადია, თუ რა ღრმად შესცვლიდა ადამიანის გარეგნულს და გონებრივ-ზნეობრივ სახეს სხვა და სხვა საზოგადოებრივი პროცესი. რამდენად მარტივი იყო პირვანდელი საზოგადოება და ერთფეროვანი, იმდენადვე სადა იყო პირველი ადამიანი, ერთფეროვანი და ერთი საზოგადოების წევრი ნაკლებად განსხვავდებოდა მეორე საზოგადოების წევრისაგან. მაგრამ მოკლე სოციოლოგიური სქემატიური სურათიდან ჩვენ დავინახეთ, როგორ რთული ხდება საზოგადოება, როგორ ფართოვდება მისი ფუნქციები, როგორ ნაწილდება საზოგადოება ცალკე წოდებებად, დაწესებულებებად, ცალკე ორგანოებად.

თუ პირველს საზოგადოებას ერთი საზრუნავი აქვს, ნადირის მოკვლა და თავის დაცვა მხეცებისაგან, შემდეგში მისი მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანდება: მან უნდა იზრუნოს არა მარტო გამოსაკვებ საშუალებისათვის, უნდა შექმნას მთელი რაზმები მტრების საწინააღმდეგოდ, დააკმაყოფილოს თავის წევრთა სულიერი მოთხოვნილებანი. თუ პირველად საზოგადოების გაძღოლა ერთს ადამიანს შეეძლო, მერე მისი თანამდებობა ისე რთულდება, რომ სჭირდება ათასი დამხმარე და თანაშემწე. თუ თავში ერთი და იგივე ადამიანი მონადირეც არის ან მიწათმოქმედი და მეომარიც, ხელოსანიც, დროთა განმავლობაში ყოველი საქმისთვის სპეციალისტი ჩნდება, რომელიც განსაკუთრებულს ერთს საქმეს აკეთებს. ჩნდება ცალ-ცალკე დარგი სამართველო მუშაობის, სამხედროსი, სამრეწველოსი. სულიერი კულტურაც ნაწილდება, ცალკე საკუთარის გზით მიდის ეკლესია, ხელოვნება, მეცნიერება. ყოველი დარგი კულტურისა, ყოველი დაწესებულება, რომლებიც თავში ერთად შერეულნი იყვნენ, ეხლა ვითარდება დამოუკიდებლად, თითოეული საკუთარი არსება აქვს. მაგრამ ამავე დროს ერთი მეორეზე მოქმედობს, ყველა გამსჭვალულია ერთის განსხვავებულის სულით და ხასიათით.

საზოგადოების გართულება ბუნებრივის აუცილებლობით იწვევს საზოგადოებათა და მაშასადამე ადამიანთა განვითარებას. მართალია ერთი საზოგადოება, რომელიც ერთ ადგილზე მოთავსებულა, უკვე თავიდანვე შორდება მეორე საზოგადოებას, რომელიც სხვა მიწა-წყალზე ცხოვრობს და სხვა ბუნებრივ თვისებებს ემორჩილება. მაგრამ ეს განსხვავება პირველად არ არის დიდი, რადგან მეტად სადაა და უშინაარსო ველური ადამიანის არსებობა. განსხვავება იზრდება და ღრმავდება საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად. ყოველი ცვლილება საზოგადოებაში იწვევს მრავალს ცვლილებას და თითოეული მათგანი კიდევ ახალ-ახალს ცვლილებებს და ამის შემწეობით ყოველს საზოგადოებრივ ერთეულში მკვიდრდება სრულიად განსხვავებული განწყობილება, წესი, ადათი. საკმარისია ოდნავად გადავავლოთ თვალი თემების და ტომების თუნდაც ახლობლების და ნათესავების მატერიალური კულტურის საგნებს—იარაღებს, სამკაულებს, ჭურჭლებს, ჩაცმულობას, რომ აშკარად შევამჩნიოთ, თუ როგორ განსხვავდება ერთი-მეორისაგან გარეგნულის სახით, მოყვანილობით, მოკაზმულობით. ავიღოთ სახლი, თავშესაფარი ბინა—ვერ ნახავთ, რომ ერთი ტომის სახლი იყოს განმეორება მეორე ტომის სახლისა. ხშირია განსხვავება არა მარტო წყობილებაში, არამედ არსებითაც. ყოველ იარაღს ადამიანი აკეთებს განსაზღვრული საჭიროებისთვის და ეს საჭიროება საერთოა მთელი კაცობრიობისთვის, მაგალითად თოხის დანიშნულებაა ისაა, რომ მიწა მოთოხნოს კარგად, ხმლისა—რომ მტერი დაამარცხოს, მაგრამ ყოველი საზოგადოება თავისებურად აკეთებს ერთსაც და მეორესაც; განსაკუთრებით ეს თავისებურობა ემჩნევა მორთულობას, ხელოვნურ მხარეს, სადაც თავისუფლად იშლება ადამიანის თავისუფალი ბუნება და შემოქმედება. ავიღოთ სულიერი კულტურაც. დიდი ხანია აგვიწერეს სოციოლოგებმა, რომ როგორც კი ველურთა ერთი თემი ნაწილდება და ერთი ნაწილი მეორეს შორდება, სულ რამდენიმე თვის შემდეგ სხვა და სხვა ენაზე იწყებენ ლაპარაკს, სხვა და სხვა ღმერთებს და კერპებს იჩენენ. ესევე ემჩნევა მხატვრობას, სიმღერას, ხუროთმოძღვრებას და სხვას. ერთისიტყვით ყოველი საზოგადოება ვითარდება საკუთარის გზით, საკუთარის საშუალებით იკმაყოფილებს თავის საჭიროებას, საკუთარის წესითა და ჩვეულებით ცხოვრობს და ეს განსაკუთრება და თავისებურობა მით უფრო დიდია, რაც უფრო განვითარებულია და რთული საზოგადოებრივი ერთეული.

მეორეს მხრით ისიც უეჭველია, რომ საზოგადოების გავლენა ადამიანზე გაცილებით ძლიერია მაღალ საფეხურზე, ვიდრე განუვითარებელ მარტივ მდგომარეობაში. პირვანდელ საზოგადოებას არც აქვს რამე და არც ადამიანი მოითხოვს მისგან ბევრს, ასე რომ დამოკიდებულება მეტად სუსტია. მაგრამ როგორც კი განვითარდება ადამიანი და საზოგადოება მოიპოვებს საშუალებას მრავალმხრივი მოთხოვნილებისათვის, ეს დამოკიდებულება ფართოვდება, ღრმავდება. პირველყოფილი ადამიანი სულ ადვილად სტოვებს საზოგადოებას, რომელიც უფრო ჯოგს მოგვაგონებს, ვიდრე მჭიდროდ შეკავშირებულს ერთეულს, ადვილადვე შეუძლიან შეეთვისოს სხვა საზოგადოებას. მისთვის არ არსებობს ჯერ ღალატი, გაცემა თავის თემისა. სულ მოკლე დროში დაივიწყებს იმ რამდენსამე მარტივ სიტყვას, რომელსაც შეიცავს მისი დედა-ენა და სწავლობს სხვის ენას, რომელიც ასევე ღარიბია და სადა. ნათესაობას ნაკლებად ჰგრძნობს და არავითარ მიზიდულობას არ განიცდის საკუთარ შვილისა და მშობლისადმი. მაგრამ აუტანელია განცდა უფრო განვითარებული ადამიანისა, როცა რაიმე მიზეზით შორდება თავის თემს ან ტომს. მზადაა ყოველი მსხვერპლისთვის, ოღონდ დაუბრუნდეს თავისიანებს, რომლებზედაც გადაბმულია ათას მოგონებით, ფიქრით, გრძნობით, დაუბრუნდეს იმ კერას, სადაც შენახულია კერპი მისი მფარველი ღმერთისა, სადაც განისვენებენ წინაპართა სულები, სადაც ლაპარაკობენ ერთად-ერთ გასაგებ ენაზე. ასეთი ადამიანი საზოგადოებით ცხოვრობს და მხოლოდ საზოგადოებისთვის და თუ ოდესღაც არის დარღვეული, შელახული თემის ადათი და ჩვეულება, საუკუნო სირცხვილი, დამცირება, შეუბრალებელი განკითხვა და სასჯელი მოელის.

კიდევ ერთხელ განვიმეორებთ: ადამიანი ისაა, რაც არის საზოგადოება, საზოგადოების გრძნობით გრძნობს, საზოგადოების ფიქრით ფიქრობს. მთელი მისი სულიერი სიმდიდრე არის სიმდიდრე საზოგადოებისა და მის სახეზე აღბეჭდილია მთელი თავგადასავალი თემისა თუ ტომისა. აქედან თავისთავად უნდა დავასკვნათ: არ არიან ადამიანები, არიან მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების წევრები, ამა თუ იმ თემის ან ტომის შვილები, რომლებიც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თემები და ტომები. ისტორიულ პროცესში ადამიანის მოდგმა ნაწილდება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფად და თითოეული მათგანი ვითარდება დამოუკიდებლის, განსხვავებულის გზით. ეს განსხვავება თან და თან ღრმავდება და მაშასადამე ღრმავდება ის განსხვავება გარეგნული და სულიერი, რომელიც არსებობს თემების და ტომების წევრთა შორის. არავის შეუძლია თქვას, რომ ცივილიზაცია სპობს განსხვავებულობას. მართალია, მიმოსვლის გაადვილება და განვითარება მეტად აახლოვებს საზოგადოებათ და ადამიანებს და ეს ხელს უწყობს კულტურის გადატან-გადმოტანას, მაგრამ ამასთანავე ცივილიზაცია, ადამიანის შემოქმედების გაფართოვება კიდევ უფრო აღრმავებს თავისებურობას, განსაკუთრებით სულიერ სფეროში, სადაც თავისუფალი სარბიელია გაშლილი ადამიანის გონებისათვის. კაცობრიობის დაწინაურების უდიდესი დამახასიათებელი თვისებაა თავისუფლების ზრდა და თავისუფალ საზოგადოებაში თავისუფალი ადამიანი განსაკუთრებულის სიძლიერით აშკარავებს მთელს თავის საგანძურს, ანაყოფიერებს სავსებით იმ ნიჭს, რომელიც შთანერგა მის არსებაში მშობელმა საზოგადოებამ საუკუნეთა განმავლობაში.

ყველაფერს ამას ღრმა კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რის შესახებ ქვემოთ მოვილაპარაკებთ...

III.

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით უფრო ისეთ საზოგადოებრივ ერთეულების შესახებ, რომელთაც ეწოდება თემი, ტომი. მაგრამ რა არის ერი, ეროვნება? ცხადია, იგი ისეთივე კოლექტივია, როგორც თემი ან ტომი, მხოლოდ უფრო განვითარებული, უფრო გაღრმავებული, უფრო შეგნებული. ეროვნება კულტურული მოვლენაა, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელი აზრია, ვითომც ერი, ეროვნული შეგნება წარმოშვა ახალმა დრომ, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნემ. ერთში ვხედავთ იმ თავისებურობას, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მოდგმის დანაწილებით, ცალკე საზოგადოებრივ ერთეულებად დაყოფით. თემი და ტომი ის კერაა, რომელმაც წარმოშვა და აღზარდა ეროვნება და რომ არ ყოფილიყო თემობრივ ტომობრივი განსხვავება, არ იქნებოდა ეროვნული სხვა და სხვაობაც. ერი გაჩნდა თემისა და ტომისაგან ან მათი შერევისა და შედუღებისაგან—მაგალითად, ჩვენი ერი შესდგა აფხაზების, კოლხების, მესხების, იმერების, ქართველების და სხვა თემებისაგან;—მაგრამ არსებითად ბუნება ერისა იგივეა, რაც თემისა და ტომისა. ერშიც იგივე თვისებაა, მხოლოდ უფრო გაღრმავებული და გაფართოვებული. თემში შედარებით სუსტია თავისებურება, ამიტომაცაა, რომ თემების შეერთებისაგან ჩნდება ერი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომ რამდენისამე ერი შედუღებულიყოს ერთ ერად. შვეიცარელები არ წარმოადგენენ ერთს ერს—აქაა მხოლოდ მჭიდრო კავშირი სამი სხვა და სხვა ეროვნების წევრთა. არც შეერთებული შტატების ამერიკელები წარმოადგენენ ცალკე ერს. მართალია მათ ბევრი რამ განათვისებს ინგლისელებისაგან, მაგრამ არა იმდენად, რომ ცალკე თავისებურს ეროვნულს არსებას შეადგენდნენ. ყოველი თემი პოტენციალურად ერია უკვე, ხოლო რომ თემი ერად იქცეს ნამდვილად, ამისთვის საჭიროა, რომ თემის ცხოვრებამ მიიღოს ისტორიული ხასიათი, თემი ეზიაროს ცივილიზაციას, კულტურის საშუალებით მოხდეს [illegible] თემის თვისებათა განმტკიცება-

---

*) იხ. „სახ. საქმე" № 241, 242, და 243

მინისტრ თავმჯდომარეს ნ. ვ. რამიშვილის თავმჯდომარეობით: დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ მრჩეველ წევრებად: გენ. ოდიშელიძე ადიუტანტებით, გ. ს. რცხილაძე, გ. ბ. გვაზავა. დელეგაციასთან ერთად ბათომში მოსამსახურეების საჭირო შტატი გაემგზავრება.

◆ **საარქეოლოგიო საზოგადოებაში.** დღეს საღამოს ექვსის ნახევარ საათზე, კავკასიის მუზეუმის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 10) დანიშნულია საარქეოლოგიო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქმნება მოხსენებანი ლევან მ. მელიქსეტ-ბეგოვისა ძველ ტფილისის თაობაზე და დ. გორდეევისა ტბეთის სახარების მინიატიურების შესახებ. სხდომა საჯაროა, დასწრება ყველას შეუძლიან.

◆ **სომხების სამშვიდობო დელეგაცია.** 29 მაისს გაემგზავრა ბათომში სამშვიდობო დელეგაცია ა. ხატისოვის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში შედიან: მ. ი. პაპაჯანოვი და ი. ი. ქაჩაზნუნი.

◆ **პედაგოგმა ივ. როსტომაშვილმა** ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა ნება მისცეს მას წაიკითხოს სახალხო განათლების შესახებ მოხსენება.

◆ **ამიერკავკასიის ელლინთა კომიტეტი** სთხოვს საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუბრუნოს ელლინთა პოლკს ჩამორთმეული ტყვიის მფრქვეველი და სხვა ქონება.

◆ სომეხთა ეროვ. საბჭოს ატყობინებენ, რომ ლორის ხეობაში 10000-ობით მოიყარეს თავი სომეხ ლტოლვილებმა, რომლებსაც აუწერელი გაჭირვება და შიმშილი დაატყდა თავს.

◆ **რუსის ქვეშევრდომი ბერძნები** ბათომიდან ჩამოვიდა პირველი პარტია რუსის ქვეშევრდომ ბერძნებისა. ოსმალთა მთავრობას ბერძნებისათვის წინადადება მიუცია, ვისაც ოსმალეთის ქვეშევრდომობა არ სურთ, სამშობლოში დაბრუნდითო. ბერძნების წამოსვლის დროს ოსმალოები თავაზიანად ექცეოდნენ.

◆ **საბერძნეთის კონსულის** საქართველოდან წასვლის გამო ბერძნების ინტერესები დაცვა ელლინთა ეროვნულ საბჭოს გადაეცემა.

◆ **მუშათა დეპუტატების საოლქო ცენტრმა** გამოჰყო თავის შემადგენლობიდან გადმოხვეწილთა საქმეების ამგვ კომისია.

◆ გზათა მინისტრი სთხოვს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარუდგინოს მას ავტომობილების სია, რომლებიც ერ. საბჭოს განკარგულებაშია.

◆ **ძმ. ადილხანოვების ქარხანა** 3 ივნისს განახლდება მუშაობა ძმ. ადილხანოვების ქარხანაში. იმ მუშებს, რომლებსაც მუშაობა არა სურთ, ქარხნის ადმინისტრაცია სალიკვიდაციო ჯამაგირს მისცემს. ქარხნის აქციები სავაჭრო ბანკს შეუძენია.

◆ **ტფილისის მუშ. და ჯარ. კ. დეპ. საბჭოს აღმასრ. კომიტეტმა** მომენტის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა: განაგრძოს მუშაობა მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიის გაერთიანების ნიადაგზე ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ და ყოველგვარი დახმარება გაუწიოს საქართველოს რესპუბლიკის ახალ მთავრობას ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გარეშე მტრისა უკუ საქცევლად და რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. რეზოლიუცია მიღებულ იქმნა წინააღმდეგ 1 ხმისა, 3 თავი შეიკავა.

◆ **საოლქო შრომის ბირჟა** დაიხურა.

◆ **მუშათა დეპუტატების საოლქო ცენტრმა** პრინციპიალურად გადასწყვიტა მოიწვიოს საქართველოს მუშ. და ჯარ.-კაცთა დეპუტ. საბჭოების ყრილობა.

◆ **ფულის პოვნა.** ოთხშაბათის კრებაზე სოც.-ფედ. კლუბში ვასო ბაკურაძემ და ხირაძემ იპოვეს საფულე ფულით. დამკარგველს სთხოვენ თავის ფულის ჩასაბარებლად შეიაროს კლუბში, ამხ. ვანო დეშურაშვილთან.

◆ **„მუსსავათში“.** როგორც გადმოგვცემენ ექიმი სულთანოვი „მუსსავათის“ პარტიიდან გამოვიდა და მიეკედლა „რუსეთის მუსულმანთა პარტიას“. მე-2 სათათბიროს ყოფილი წევრი მ. მახმუდოვი რომელიც სეიმში შედიოდა როგორც უპარტიო, ამ ჟამად „მუსსავათში“ შევიდა.

◆ **სასურსათო კომიტეტის გაძარცვა.** გუშინ 30 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე სერგიევის ქუჩაზე, (სახლი 9), სადაც მოთავსებულია საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ასულან ავაზაკები, მძარცველები ყოფილან მილიციონერების ფორმაში გამოწყობილი. მეკარეს ეჭვი ვერაფერი ვერ აუღია, რადგანაც სწორედ აღნიშნულ დროს თავდება მუშაობა კომიტეტის კასაში, სადაც სადარაჯოდ მიდიან ხოლმე მილიციონერები. მეორე სართულში ასულა 4 შეიარაღებული კაცი. გაუვლიათ პირველი, მეორე, მესამე ოთახი. მეოთხე ოთახში მუშაობდნენ უფროსი ბუღალტერი პლატონ ჯანელიძე და მისი თანაშემწე თალაკვაძე. მძარცველებს მეოთხე ოთახის კარი შიგნით შეუკეტნიათ, ფოიეში სადარაჯოდ კი ერთი ამხანაგი დაუტოვებიათ. ერთი მძარცველთაგანი წასულა მე-5 ოთახში მოლარე ვაშალომიძისათვის, დაუდვია გულზე რევოლვერი და უთხოვნია დღის ნავაჭრი ფული. ვაშალომიძე ჯერ არ დანებებია და, როდესაც ავაზაკს შეუძახნია ნუ მაკვლევინებ თავს და ჩაბარე ფული იგი შეჩერებულა. მძარცველს მაგიდიდან ამოუღია 20,000 მან. და ჩაუწყვია თან მოტანილ ბალიშის მსგავს ტომარაში. ამავე დროს მეოთხე ოთახში მეორე ავაზაკი ამ გვარადვე თავს დასდგომია უფროს ბუღალტერს პლ. ჯანელიძეს და მოუთხოვნია მოიტა კასის გასაღები, თორემ გაგათავებო. ჯანელიძეს დაუპირებია რევოლვერით თავის დაცვა მაგრამ ავაზაკს წაუგლეჯია რევოლვერი და თან წაუყვანია კასისკენ წაუღიათ რაც ფული ყოფილა, სულ იმავე ტომარაში ჩაუწყვია. შემდეგ ასე თავისუფლად გამოსულან ქუჩაში და ბებუთოვის ქუჩისკენ წასულან, სადაც მათ ამ დროს უცდიდა ავტომობილი, ჩამსხდარან ერთჯერ რევოლვერი გაუსროლიათ და წასულან ძირს ბებუთოვის ქუჩით. გაქცეულები თან განგებ ყვიროდნენ დაიჭით დაიჭითო პლატონ ჯანელიძეს მოუსაზრებია უკან დასდევნებია სერგიევის ქუჩაზე ბევრი უყვირნია დაიჭით გაგვცარცვეს ავაზაკებმაო მაგრამ ერთი სულიერი ადამიანიც არ საიდან გამოჩენილა. ჯერ გამორკვეული არ არის მაგრამ როგორც მოლარე ვაშალომიძე აცხადებს წაღებულია არა ნაკლებ 300,000 მან. მალევე მილიციონერები ფეხზე დადგნენ, შეუდგნენ ძიებას.

◆ **მუშათა გუნდი.** დღეს საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ეკლესიის სკოლაში, ტფ. არსებული ქართველ მომღერალ-მგალობელთა მუშათა გუნდის (დარსებული მ. კავსაძის მიერ) გამგეობა იწვევს ხსენებულ გუნდის წევრთა საერთო კრებას. ამ კრებაზე სხვათა შორის გადასაწყვეტია გუნდის ქონების განაწილების საკითხი.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, 2 ივნისს გორში პარტიის დარბაზში საღამოს 9 საათზე ამხ. თედო ღლონტი წაიკითხავს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე. კრებაზე დასწრება შეუძლია წევრთ და თანამგრძნობთ.

გერმანია და კავკასია

(ერთი გერმანელის წერილი. თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან).

მსოფლიო ომის დაწყებამდის ინტერესი კავკასიისა და მის მცხოვრებთადმი ევროპაში საზოგადოდ ძალიან მცირე იყო. მართალია, ზოგიერთი ცნობილი გეოგრაფები და გეოლოგები, ეთნოგრაფები, ენათა მკვლევარნი და ისტორიკოსნი, მგოსნები და მწერლები, კერძო მკვლევარი-მოგზაურნი და ზოგიერთი სამეურნეო წრეები კავკასიას კვლევისა და წერის საგნად იღებდნენ, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის მაინც კავკასია შეადგენდა უზარმაზარ რუსეთის ნაწილს, რომელზედაც ძალიან გაურკვეველი წარმოდგენა იყო გავრცელებული.

კავკასიის ნაწილები ყოველთვის არ იყვნენ დაშორებული ევროპის კულტურას. სახელდობრ სხვაგვარ იყო გარემოება, ვიდრე მონღოლ-თათართა ბატონობა წარმოსდგებოდა და ვიდრე ოსმალთა ძალა მცირე აზიიდან ევროპას მოაწვებოდა. სანამ ბიზანტიის სახელმწიფო და ტრაპიზონის ბერძნული იმპერია არსებობდნენ, საქართველოს ნავთსადგურიდან დაწყებული დასავლეთის კულტურის შუაგულამდის გაუტეხელი ხიდი იყო გადებული. მე-14 და მე-15 საუკუნის მოგზაურთაგან დარჩენილია აღწერილობანი, საიდანაც სჩანს ძველ საქართველოს სამეფოს აყვავება, რომელიც თუმცა თემურის თავდასხმისაგან იტანჯებოდა, მაგრამ მაინც წელში სწორდებოდა და სიცოცხლის ძალის მქონე სხეულს წარმოადგენდა.

ჩინგიზთა ალაგი კავკასიის ჩრდილოეთისაკენ რუსებმა დაიჭირეს. ამათ ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ კავკასიის კავშირი და ურთიერთობა ევროპასთან გაეძნელებიათ და ჩვენთვის, ევროპიელებისთვის, დაევიწყებინებიათ, რომ კავკასიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილებში განსაკუთრებულის თვისებურობისა და საყურადღებო თვისებათა პატრონი ხალხები მოსახლეობდნენ, რომელთაც რუსობაში გათქვეფა სრულებითაც არ მიაჩნდათ თავის აბლოიელ მიზნად.

მხოლოდ ამ მსოფლიო ომმა გააგებინა ყველას, რომ თვითმპყრობელობის რუსეთი ეროვნულად შერეულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელშიაც გაბატონებული ხალხი ველიკოროსებისა რიცხვით უმრავლესობასაც კი არ შეადგენდა. საზოგადოდ რუსეთში მცხოვრებ უცხო ერთა საკითხის წამოყენებისათანავე გაიზარდა ინტერესი იმ მრავალ პრობლემებისადმი, რომლებსაც კავკასია წარმოადგენს.

კავკასიის შესახებ პოლიტიკურმა საკითხებმა ფართო საზოგადოებრივი აზრი მოიპყრეს ქ. ლოზანაში 1916 წლის ზაფხულში გამართულ „ეროვნებათა კონგრესის“ გამო, რომელიც თვითმპყრობელობის რუსეთის წინააღმდეგ უცხო ხალხთა დიად მანიფესტაციას წარმოადგენდა. ამ კონგრესზე იყვნენ, რამდენადაც საქმე კავკასიას შეეხება, წარმომადგენელნი ქართველთა, კავკასიის თათართა, მთიელთა, დაღესტნელთა, ნოღაელთა და სხვ. იმ მოხსენებათ, რომელნიც იმათ გააკეთეს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. გაიმართა საზოგადოდ ბჭობა-კამათი ლოზანის კონგრესზე წარმოდგენილ თეზისების გამო და ასე კავკასიის საკითხები ირკვეოდა მრავალ ჟურნალ-გაზეთების სტატიებში, ნაწერებში და წიგნაკებში.

გერმანიაში უკვე ამ კონგრესზე ადრე მთელი წყება ქართველ პატრიოტებისა ცდილობდნენ თავის სამშობლოს სასარგებლოდ საზოგადოებრივი თანაგრძნობა შეექმნათ. მათ აქ ჰპოვეს კიდეც ამისათვის კეთილი განწყობილება და დახმარება. პირველად ყურადღება იქმნა მიქცეული გერმანიასა და ავსტრიო-უნგრეთში მყოფ ქართველ ტყვეებზე. როგორც გერმანიის, ისე ავსტრიო-უნგრეთის მთავრობამ გაიზიარა ის შეხედულება, რომ ქართველები გერმანიის მტრებად არ იყვნენ მისაჩნევი, რომ ისინი ომში მხოლოდ რუსეთის იმპერიალიზმის ძალდატანებას ემორჩილებოდნენ. ამიტომ ქართველ ტყვეებს შეღავათიანი მოპყრობა მიენიჭათ; მათვე მიეცა შეძლება სხვა და სხვა გვარ სანიმუშო წარმოებაში პრაქტიკულის საქმიანობით ცოდნა შეეძინათ; მათვე აძლევდნენ საკითხავ მასალას ქართულ ენაზე და ნება დართეს აგრეთვე თავიანთი მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე ეწარმოებიათ.

ამ უკანასკნელ გარემოებას პირველ ხანებში დიდი დაბრკოლება ხვდებოდა წინ, რადგანაც გერმანიაში ქართულის მცოდნენი მცირედ მოიპოვებიან, მაგრამ ერთის დაწესებულების — ბერლინის „აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს“ (Nachzichtenelle füz orient) საშუალებით, სადაც გავლენიანი პრაქტიკული მცოდნენი აღმოსავლეთისა და ცნობილი მეცნიერები შეერთდნენ, რათა გერმანიასა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთის გაგება და დაახლოვება გაეადვილებიათ, ეს დაბრკოლებაც ძლეულ იქმნა. რომ ქართველი ტყვეები გერმანიაში, მიუხედავად ომიანობის დროს აუცილებელ მრავალგვარ ნაკლებობისა, საზოგადოდ ცუდად არ ცხოვრობენ, სჩანს მათი წერილებიდან, რომლებსაც ისინი სამშობლოში ჰგზავნიან. ამის დამამტკიცებელი საბუთები მრავლად მოიპოვება „ქართულ გაზეთშიაც“, რომელიც გერმანიაში იბეჭდება. ჯერ-ჯერობით ეს ერთად-ერთი გაზეთია ქართულ ენაზე დაბეჭდილი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ეს ორგანო, რომელიც გამოიცემის „აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს“ დახმარებით გიორგი კერესელიძის მიერ, თავდაპირველად მარტო ქართველ ტყვეებისთვის იყო დანიშნული, დასაწყისში იგი იბეჭდებოდა ფოტოლიტოგრაფიულად ამ სათაურით: „კავკასია“, იყო მცირე ფორმებისა და ეგზავნებოდა მხოლოდ ქართველ ტყვეებს გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში. მაგრამ ნელნელა მოხერხდა ქართულ ასოებისა და ასოთ-ამწყობთა მოპოვება. მკითხველთა წრის გაზრდა და გადიდებულ ფორმატისა და კარგ ქაღალდზე ნაბეჭდ ორგანოდ გადაქცევა გაზეთისა, რომელიც თვეში ორჯერ გამოდის და ყველა ცენტრალ და უცხოეთის ნეიტრალ სახელმწიფოებში ვრცელდება, გერმანიაში აზრად აქვთ, თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა, გაზეთს გარდა წიგნებიც გამოსცენ ქართულ ენაზე. უნდა ვიმედოვნოთ, რომ გერმანიისა, და კავკასიის შორის კავშირი მალე ხანგრძლივად უზრუნველყოფილი იქნება და შესაძლებელი გახდება „ქართულმა გაზეთმა“ კავკასიაშიაც მოაღწიოს და კავკასიის გავლენიან პუბლიცისტებისგან სტატიებიც მიიღოს, საიდანაც დასავლეთ და შუა ევროპაში მყოფი ქართველები და განსაკუთრებით ქართველი ტყვეები სამშობლოში მყოფ თანამემამულეთაგან გაიგებენ, თუ რა მდგომარეობაა მათს სამშობლოში.

„ქართული გაზეთის“ გოდებასთან ერთად მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ გერმანიაში კავკასიისადმი ინტერესები გაეღვიძებიათ. ერთი წყება ქართველ და გერმანელ წრეთა წარმომადგენლებისა შეერთდა და დაარსა „გერმანულ-ქართული საზოგადოება“. რომელმაც მალე ფიცხელი მოქმედება გააჩაღა. სახელოვანი სწავლულები, როგორიცაა, საერთაშორისო უფლების მოძღვარი ლისტი, ბერლინის ეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორი ონშაუ, ისტორიკოსი ედუარდ მეიერი, ხელმძღვანელი პოლიტიკოსები გერმანიის რეიხსტაგის ყველა პარტიებისა, გავლენიანი პირები საფინანსო წრეებისა, პრესისა, ხელოვნების და მწერლობისა შეუერთდნენ ამ საზოგადოებას. მრავალი ლექციები იქნა წაკითხული, სადაც როგორც კავკასიელი ლექტორები ისე გერმანელები კავკასიის საკითხებს არკვევდნენ და ამ საკითხებისთვის ფართო წრეებში ინტერესსა და შეგნებას აღვიძებდნენ. ამავე დროს ერთი საინფორმაციო ბიუროც იქნა დაარსებული, რომელიც სამეურნეო წრეებს კავკასიის შესახებ ცნობებს აწვდის.

თუ ყველა ამგვარ მუშაობას საკმაო ძალები გამოუჩნდნენ გერმანიაში, ეს უნდა მივაწეროთ გერმანიის მთავრობის კეთილგანწყობილებას, რომელმაც კავკასიელები, რამდენადაც ისინი თავიანთ ეროვნულ მისწრაფებათა ნიადაგზე იდგნენ და თავს რუსებად არ გრძნობდნენ, მტერ უცხოელებად არ მიიჩნია გერმანიაში. ამიტომ კავკასიელ სტუდენტებს ნება მისცეს განეგრძოთ სწავლა გერმანიის სასწავლებლებში და გამოცდებიც ჩაებარებიათ. რამდენიმე ქართველი მოწაფე აიყვანა ეტტალის (ბავარიაში) მონასტერმა, რომელთანაც გიმნაზია არის დაწესებული. მიუხედავად იმისა, რომ ომის გამო ცხოვრების პირობები გაძნელებულია, ამ ქართველ მოწაფეთა გამოზრდის ხარჯების ნაწილი თვით მონასტერმა იკისრა. ხსენებული მოწაფენი იქ კარგად სწავლობენ და, მიუხედავად მათი სინორჩისა, ქართველის სახელს სასახელოდ ატარებენ. დანარჩენი ნაწილი ხარჯებისა კავკასიის მეგობარ გერმანელთაგან იქმნა გაღებული. ამასთანავე წარმოშობილია მთელი მოძრაობა, რომელსაც საგნად აქვს იმ ახალგაზრდა ქართველებისთვის, რომელიც მეცნიერული და პრაქტიკული განათლება და ცოდნა სურთ შეიძინონ, სტიპენდიები იქნეს დაარსებული.

გერმანიის პრესაც ომის განმავლობაში ყურადღებას აქცევდა კავკასიას. გარდა მრავალ წერილებისა, რომლებიც დღიურ პრესაში დაბეჭდილი კავკასიის საკითხების შესახებ, პირველ ალაგს დასასახელებელია ჟურნალი „Der Nene Orient„ („ახალი აღმოსავლეთი“), რომელიც გამოდის 1 აპრილიდან 1917 წლისა და კავკასიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აქ იბეჭდებოდა პოლიტიკური წერილები გიორგი მაჩაბლისა, მიხეილ წერეთლისა, პ. ალტდორფერისა, ჰანს ეკარდტისა და სხვათა, აგრეთვე მოკლე ცნობები კავკასიის ცხოვრებიდან და საეკონომიო წერილები კავკასიის შავი ქვის მადნებზე, ხავსის წარმოებაზე, სავაჭრო მეთოდებზე კავკასიაში, კავკასიის [illegible] ტყეებზე, ბამბის წარმოებაზე და სხვა ყველა ამგვარი წერილებით გერმანიის საზოგადოებას ძვირფასი მასალა მიეცა კავკასიის გასაცნობად და, მიუხედავად მოწყვეტილობისა, გერმანია ჩინებულად ეცნობოდა და იგებდა კავკასიის მდგომარეობას.

„ახალ აღმოსავლეთს“ თავის აღწერილობის საგნად აღებული აქვს მთელი აღმოსავლეთი, — მაროკოდან დაწყებული დასავლეთში — იაპონიამდის აღმოსავლეთში და სურანიდან — ვოლგისა და კამის რაიონის თათრებამდის. ამიტომ მასში არის წერილები კავკასიის მაჰმადიანების შესახებაც. ეს ელემენტებიც არ ყოფილან დავიწყებული გერმანიაში. გერმანიაში დიდის კმაყოფილებით ადევნებენ თვალყურს იმ გარემოებას, რომ ბაქოს თათრებს ისე, როგორც მთიელებს კარგი განწყობილება აქვთ მეზობელ საქართველოს ქრისტიანე ერთან და რომ ყველა ნაწილებს ერთ სახელმწიფოს დაარსება სურთ, რომელშიაც თითოეულ ხალხს თვისი თავისებურობის დაცვა და სამართლიან მისწრაფებათა განხორციელება შეეძლება და რომელიც მთლიანი ერთეულის წარმომადგენელი იქნება და ამიტომ მთელის კავკასიისთვის გარეთ გავლენას უფრო მეტად უზრუნველ ჰყოფს, ვიდრე ეს თითოეული მათგანისთვის ცალ-ცალკე შესაძლებელი იქნებოდა.

მაჰმადიან კავკასიელებსაც გერმანია შეძლებისდაგვარად ყურადღებას აქცევს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი კავკასიის ხალხებს ეკუთვნიან, და მეორეც, — რადგან ისინი მაჰმადის რჯულს აღიარებენ და ამიტომ გერმანიისაგან, როგორც სულთანის მოკავშირისაგან, განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას უნდა მოელოდნენ. თუ რა გაკეთებულა გერმანიაში ამ ომის დროს რუსეთის მაჰმადიანობისათვის, ამის დაწვრილებით მოთხრობა შორს წაგვიყვანს. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ გერმანიაში რუსეთის მაჰმადიან ტყვეებს, ისე როგორც მათს ჩრდილო აფრიკისა და ინდოეთის ერთმორწმუნეებს, განსაკუთრებულად ეპყრობიან. ამათთვისაც იბეჭდება თათრულ ენაზე გაზეთი, თათრულადვე შეუძლიანთ მათ მიწერ-მოწერა სამშობლოში და ჰყავთ მიჩენილი მაჰმადიანი მოძღვარნი მათ სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გერმანიაში მყოფ ახალგაზრდა თათრებს უადვილებენ განათლებას და განვითარებას. შემდგარია კომისია, რომელმაც გერმანიაში მოსწავლე თათარ სტუდენტებისათვის რამდენიმე სტიპენდია დაარსა.

და ასე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ როგორც კი მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდება, გერმანიასა და კავკასიას შორის გონებრივსა და ნივთიერს სარბიელზე გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა განვითარდება, რისგანაც ორივე მხარეს დიდი სარგებლობა ექნება. კავკასიის მცხოვრებნი შეუძლიანთ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათს მისწრაფებას გერმანიაში კეთილგანწყობილებით ხვდებიან და ნორჩ სახელმწიფოს არსებას, რომელიც კავკასიის ნიადაგზე წარმოსდგა, წარმატებულსა და ბედნიერ განვითარებას უწყობენ.

ერის და თემის დამოკიდებულობა შეგვიძლია შევადაროთ ბიოლოგიურს გვარსა და გვარსხვაობას, ჯიშს და ნახევარ ჯიშს. ერთი მეორეში გადადის, ერთი მეორეს უახლოვდება, მაგრამ ერთი გვარის ცხოველები ან მცენარენი უფრო მეტის გამოკვეთილის და ნათელის თვისებით განირჩევიან, ვიდრე გვარსხვაობის მცენარეები და ცხოველები. როდესაც გვარსხვაობა ვითარდება და მტკიცდება მისი განსხვავებულობა, იგი ადრე თუ გვიან გადაიქცევა გვარად.

თემი ან თემთა კავშირი რომ განვითარდება და მიაღწევს განსაზღვრულს მოქალაქეობას, იგი უკვე ერია. ამ გარდაქმნაში უდიდეს როლს თამაშობს ისტორიული არსებობა, კულტურული ზრდა საზოგადოთ და მწერლობის აღორძინება კერძოთ. ერთი ისტორიული თავგადასავალი, ერთი ისტორიული შემოქმედება — ის ცეცხლია, რომელმაც უნდა გადაადნოს ერთ მიწაზე მცხოვრები თემი თუ თემები და გარდაქმნას ერად. გაურკვეველი თემები, მომთაბარენი, უკულტურო მასა, თუნდაც ერთ ენაზე ლაპარაკობდეს, თუნდაც საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდეს, ჯერ კიდევ როდია ერი, თუ არ ჰქონია საერთო ისტორია, ისტორია ბრძოლისა და მოქალაქეობისა, ისტორია უფლებისა და მოვალეობისა, ისტორია ერთი კულტურისა, ისტორია ერთის სიხარულისა და უფრო კი ერთის მწუხარებისა, ტანჯვისა და ვაებისა. ისე არა აერთებს რა ადამიანებს, როგორც საერთო ბრძოლა, საერთოდ ცრემლების ღვრა, საერთო იარები და ჭრილობანი იმისთვის, ვინც ჩვენთვის სატრფიალოა, საყვარელია, და მოგონება განვლილი მწარე დღეებისა. დედას ის შვილი უფრო უყვარს, რომლისთვის მეტი სიმწარე გამოუვლია. სამშობლო მით უფრო ძვირფასია, რაც უფრო მეტად გვიღირდა მისი კულტურის შექმნა, მისი თავისებურობის შენარჩუნება, მისი თავისუფლების დაცვა.

დედა ენა მშობელი ქვეყნის ბუნება მუდამ ჩვენთან არის, ჩვენს სისხლშია, დაბადებიდანვე და უფრო ადრეც თან და თან ვითვისებთ მათ გავლენას, მათ შემოქმედებითს თვისებას. სამშობლოს მთის მწვერვალიდან გამოტყორცნილი სხივი და გარემოს სიმშვენიერე აკვანში ჩამოგვანათებს ხოლმე მშობლიურ ენას დედის ნანასთან ვისისხლხორცებთ. მაგრამ მშობელი ერის და მამულის თავგადასავალი — ეს ჩვენი შეგნებაა, ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, ჩვენი გაადამიანება, ჩვენი გამამულიშვილება. ჩვენი ქვეყნის ისტორია — ეს ჩვენი საკუთარი თავგადასავალია, ეს იმ ქვეყნის და კულტურის წარსულია, რომელთაც შეგვქმნეს — ჩვენის ენით, ზნეჩვეულებით, ხასიათით, ღირსებით, მისწრაფებით. ეს არის ისტორია იმ გმირებისა, რომელთაც დაიცვეს ჩვენი სამშობლო და თვით ჩვენი ფიზიკური არსებობა უცხოთა განადგურებისა და დაპყრობისაგან, რომელთაც იღვაწეს ჩვენი კულტურის შექმნისათვის, რომელთაც იბრძოლეს ჩვენი ერის განვითარებისათვის. და ამ ისტორიას ვხედავთ, ვგრძნობთ და ვითვისებთ ჩვენის გონების თვალით და მით ვხდებით მშობელი ქვეყნის შვილები, სავსებით ვეზიარებით მის ცხოვრებას.

ხოლო ისტორია უხილავია, ვიდრე ფრთა არ გაუშლია ერის ნიჭს და არ აღუმართავს თავის შემოქმედების ტაძრები, ვიდრე ხილულად არ გამოუქანდაკებია და ქვასა და ტილოზე არ აღუბეჭდავს თავისი მხატვრული მისწრაფებანი, ვიდრე მუსიკის ჰარმონიული ხმებში არ ჩაუქსოვია თავის მთლიანი ცხოვრების განცდანი, ვიდრე არ დაუწერია ისტორია შვილების წასაკითხავად — მოსაგონებლად განვლილთა დღეთა და წინასწარ შესაცნობად მომავალის ბედისა. ისტორია არ არსებობს, ვიდრე არ ვხედავთ მას არა მხოლოდ შინაგანი სულიერის თვისებებით, რომელიც ძნელად შესაცნობელია, არამედ ჩვენს თვალ წინაა გადაშლილი მთელი ნაყოფი ჩვენი ერის წარსულსა კულტურის ნაშთებით, მხატვრულის შემოქმედებით, განსაკუთრებით მწერლობის შემწეობით და ყველაფერს შეგვიძლია ხელი შევახოთ დღეს, დაუკვირდეთ, წავიკითხოთ, დავისწავლოთ და შეგნებულად შევითვისოთ.

აქაა უდიდესი მნიშვნელობა მწერლობისა, რომელიც ყველასათვის მისაწვდომი სარკეა, რომელშიაც ერი ხედავს თავის სახეს; რომლის საშუალებით იცნობს თავის ვინაობას და მით კიდევ უფრო განიმტკიცება თავისებურობას. მწერლობა არსებითად ეროვნულია, ეროვნულია მიტომ, რომ გამოხატავს ერის სულსა და გულს, მიტომ რომ მისი საცოცხლე ერის სიცოცხლეა. ევროპის საშუალო საუკუნოების მწერლობის აყვავება დაიწყო იმ დღიდან, როცა საერთო „საკაცობრიო“ ლათინურ ენის მწერლობას გამოეყო ეროვნული მწერლობანი, ყოველმა ერმა საკუთარი მწერლობა გაიჩინა; ამ დღიდანვე იწყეს დამოუკიდებელი არსებობა ამ ერებმა, შექმნეს საკუთარი კულტურული წრეები. იტალიის ერი შექმნა დანტეს „ღვთაებრივმა კომედიამ“. ქართველი ერის შეგნებისათვის აუცილებელი პირობა იყო მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, პეტრიწის და სხვების სამწერლო მოღვაწეობა X—XI საუკუნოებში. ჩვენი ეროვნების უმთავრეს სიმტკიცეს „ვეფხის ტყაოსანი“ წარმოადგენს. საქართველოს აღორძინება მე-18 საუკუნის მწერლობის აღორძინებით იწყება. მე-19 საუკ. საყოველთაო მონობის დროს ქართველი ერის ერთად ერთი თავშესაფარი მწერლობა იყო..

მაგრამ საერთო მიწაწყალი, საერთო ენა, საერთო ისტორია, საერთო მწერლობა ჯერ კიდევ არა ჰქმნის ეროვნებას, არ წარმოშობს ერს. საჭიროა ეროვნული შეგნება, რომელიც დამაგვირგვინებელია ეროვნული თავისებურობის. ერი იქ არის ერი მტკიცე, ძლიერი შემოქმედი, სადაც ერის შვილები გამსჭვალულნი არიან იმის ღრმა შეგნებით, რომ განსხვავებულ ერთეულს წარმოადგენენ თავისებურს საზოგადოებას, რომელსაც უნდა ერთად ცხოვრება, დამოუკიდებელი არსებობა, რომელსაც თავისი ბუნება აქვს ენა, ხასიათი, ჩვეულება, კულტურა, თავისებური სახე დაიცვას და შეინარჩუნოს. უნდა შეუღლდეს სიყვარული, შეგნება და სიამაყე — უნდა ვამაყობდეთ, რომ ჩვენს ერს ვეკუთვნით და რამდენად ძლიერია ასეთი შეგნება, იმდენად სრულია და ძლიერი ეროვნება, იმდენად უფრო შემოქმედია ერი. ენგელსი ამბობდა: „ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი მამათმთავრები არიან არა მარტო ოუენი და სენსიმონი, არამედ კანტი და ჰეგელიც“. ყოველს ერს აქვს ისეთი სიამაყე, თუ ცოცხალი ერია, სიამაყე კეთილშობილური, ყოველს ერს სწყურია იყოს პირველი თავის მაღალი აზრებით, კეთილის საქმეებით.

სამარცხვინო არაა ამგვარი ეროვნული თავმოყვარეობა!..

სამ. ფირცხალავა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ფარმაცევტთა საყურადღებოდ

სამწუხაროდ ჩემი მიმართვა ამხანაგებისადმი საყვედურით უნდა დავიწყო... არც ერთმა ისტორიის გაკვეთილმა ჩვენზე არ იმოქმედა რა საშინელი პრობლემა არ დაგვიყენა ცხოვრებამ თვალწინ, რა მხრიდან არ არის გამოწვეული ჩვენი ერის ავადმყოფი ხელი, მაგრამ სწორედ იქ ვიჩენთ მცონარეობას და გულცივობას, სადაც ჩვენი ხელობით შეგვიძლიან დანიშნულებისამებრ ვემსახუროთ ხალხს.

ჩვენი ამხანაგები, რევოლიუციის პირველ დღეებიდან დაიქსაქსნენ და უგზოთ მოქმედებენ: ერთნი პროფესიონალურ კავშირში უნდებიან ინტრიგებს და რაღაც სიების შემუშავებას 5—6 ყრილობას ანდომებენ და იმას ითვლიან თუ რამდენი მათი წევრი გავა კავშირის გამგეობაში. მეორენი მუშათა საბჭოში მოთავსებულან და გადაჭარბებული უბრალო მჭერმეტყველობით ირთობენ თავს. ფარმაცევტების პროფესიონალურ მოძრაობაში, მხოლოდ კერძო აფთიაქებში მოსამსახურეთა ქონებრივ უზრუნველყოფას ეტყობა ცოტა პროგრესი. აი ეს იყო ჩვენი ინტელიგენტ-მუშათა (!) წლის და ოთხი თვის საქმიანობა, მაგრამ, მთელი რუსეთის სივრცეზე, რომლი დარგის მუშას მეტყვით რომ მუშა ფარმაცევტზე მეტს ხელფასს არ ღებულობს.

არის მეორე ჯგუფი ფარმაცევტებისა, სამხედრო პირები. ესენი ქონებრივად წყალ-წაღებულნი არიან... წარმოიდგინეთ, როცა გირვანქა პური 4—5 მანეთია. ამათ 27—30 თუმანი ეძლევათ თვეში და ესეც იმათ ვინც გაბედნიერდა და „ჩინოვნიკობას მოეწყო". ორი მესამედი სამხედრო ფარმაცევტებისა, რომელიც ნამუსიანია და ღვთისნიერი ვერ იკადრა საშობლოს და რევოლიუციის კატასტროფის ერთს ჟამს—„აფთიაქის უფროსობით" ითვლებიან მთელი მათი ავლა-დიდება სალდათის ფარაჯაში გამოიხატება... უფლებებზე ლაპარაკიც მეტია: ფარმაცევტები და საერთოდ სამხედრო სააფთიაქო საქმე, ძალიან ხშირად ექიმების ოპეკისაგან ვერ განთავისუფლებულა... იმ დროს როცა ევროპა და რუსეთში მეცოდნეს კომბეტენციას, არ მეცოდნეც აღარ ექიმარჩილებიან ფარმაცევტები—ფარმაცევტის არ მეცოდნე ექიმებს ექვემდებარებიან... რათა?! რისთვის?! იმიტომ, რომ ათასიათასულ ფარმაცევტის პრეპარატებიდან, მათ (ექიმებმა) უნივერსიტეტში მარტო 58 პრეპარატის გარჩევა ისწავლეს?..

გასაკვირველი, რომ მრავლისაგან მოვედით, ამას შემდეგი მოწმობს: თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური პირობების გამო ნივთები ხალხის ქონება. ფარმაცევტიულ საგნების საწყობებიც ქარსა და ძერას მიაქვს... რომელნიმე სამხედრო სააფთიაქო საწყობები, საოლქო სასანიტარო განყოფილების უზრუნველობით და ექიმ-ფარმაცევტთა კომიტეტების უმეცადინეობით, მტერს ჩაუვარდა ხელში... მარტო ალექსანდროპოლის საველე აფთიაქის დირებულება 100—200 მილიონი მან. იქნებოდა; ახლა აიღეთ მისი იერამეტი განყოფილება, ყარსბათომის, ციხეების საწყობები, ასეთვე გოსპიტალ-ლაზარეთების აფთიაქი გაითვალისწინეთ მათი ღირებულება და იფიქრეთ, რომ ათ წელიწადს არავითარი საჭიროება არ შემოგვეტანა საზღვარ გარეთიდან სამკურნალო ნივთებისა, ასი მილიონ ჯარს ეყოფოდა და მშრომელსაც საშრომელი ექნებოდა.. უპატრონო გულებისას ემზადები დაესიათ ნათქვამია და მართლაც ჩვენმა უორგანიზაციობამ საველე აფთიაქები ჯერ ალექსანდროპოლის შოვინისტურ საბჭოებს ჩაუგდო ხელში მერე კი ოსმალოებს...

იმ დროს, როცა ჩვენი ერის მოწინავე ელემენტები, ბორჯომსა და ოზურგეთში ჩვენი დაცვისათვის, სისხლით იცლებიან, ჩვენ იმდენი მოქალაქეობრიობაც ვერ გამოვიჩინეთ რომ საწყობებს მომჭირნეთ მოვეპყრობოდით და თავგანწირულ ძმებისათვის პრილობა შეგვენახა..

აქაურ სამხედრო საწყობებში ერთი არშინი მარლა არ მოიპოვება და საველე აფთიაქში ალექსანდროპოლში 2 მილიონ ნახევარი მეტრი დატოვეთ ოსმალოებს.. ჩემი ნათქვამ დაწვრილებით დაკარგვით ბევრი მუშა ფარმაცევტი უადგილოთ დარჩა...

მწერალ-მგოსნებმა სრულა ისწავლეს, ფრონტზე ლომებივით იბრძვიან, ჩვენ კი ჩვენი თავისა და ბალღისქონებაც კი ვერ მოვიარებთ.. „სანამ მეხი არ დაიქუხებს, ტატია პირჯვარს არ დაიწერსო" [illegible] ანდაზა და ჩვენც [illegible] ლეობის შექმნას მოკლებულნი მანამ არ გამოვალთ ყურში ბამბას სანამ სიმშილისა და ჩვენი დაჭრილ ჯარის კაცთა ჩვენდამი ზიზღის მეხი არ დაიქუხებს...

თუმცა გვიან არის მაგრამ ცოტა, რისამე გაკეთება კიდევ შეიძლება... ცოტა რამ კიდევ მოიპოვება, ტფილისის მთავარ სააფთიაქო საწყობში. არხ. ი. გომარის ცნობით რომელმაც აღწერა მთელი ბინები და კომისარიატის. სამი თვის განმავლობაში თითქმის მილიონის, საომარი სამკურნალო ნივთები მოვიმომჭირნეთ... მთლად მარაზის ქონება 30 მილიონამდე ღირება.. სამტრედიაში არის ტრაპიზონიდან გადმოტანილი საველე აფთიაქის წამალი. რომლის მოვლა პატრონობაზე სამწუხარო ცნობები მოდის. ტფილისში არის დიდი საწყობი საერობო საბჭოსი, სადაც თავმოყრილი ქონებაა. არის წითელი ჯვრისა და ქალაქთა კავშირის ქონება. ყველა ამას მოვლა პატრონობა და მომჭირნეთ გამოზოგვა უნდა. სანიტარო ფარმაცევტების კომიტეტი რუსი ამხანაგებისაგან შესდგებოდა. ისინი არ რჩებიან, როგორც გვესმის და თუ რჩებიან არაფერს აკეთებენ. ყველა ამის ალიკვიდვა მოგაწოდებთ ამხანაგებო სამხედრო უწყების ფარმაცევტებო შეიკრიბენით, აირჩიეთ თქვენი ინტერესების დამცველი და საქმიანი კომიტეტი, რომელიც იბრძოლებს, ფარმაცევტთა ქონებრივ, ზნეობრივ და უფლებრივ მდგომარეობისთვის, განთავისუფლებას ცეხის არამკითხე „ოპეკისაგან", გაანაწილებს მშრომლებსა და შტატებს, იქნებ პასუხისმგებელი, ჯარის სამკურნალო ნივთებით უზრუნველმყოფელი, დაინიშნავს კეთილსინდისიერ გამგეს ქონებრივ პასუხის მგებლობით, გასწევს მომჭირნეობას ასეთი მცირე დარჩენილ ნივთისას, ამით ცეხიც მადლიერი ეყოლება, ჯარიც და ერიც.

ფარმაცევტი კ. ბაქრაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

უფალო რედაქტორო!

თანახმად მონაწილეობისა ერთის მხრით რუსის ოფიცრების საზოგადო კრებისა ბათომში და მეორეს მხრით ბათომის გარნიზონის და ბათომის რუსის ეროვნული კრებისა, რომელიც შესდგა 20 აპრილს (3 მაისს), ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, წევრნი, ამორჩეულნი საზოგადო კრების კომისიიდან, გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში შემდეგ ჩვენს განცხადებას:

გასაკვირად ვსთვლით: რისთვის ისურვა ავტორმა წერილისამ: „ოსმალოები ბათომში" რომელიც იყო დაბეჭდილი თქვენს გაზეთში (№ 81), დათესვა ურთიერთის უთანხმოებისა და მტრობისა რუსებისა და ქართველების ოფიცრების შუა, რადგანაც ეს ოფიცრები იცავდნენ ძმურ ერთობას მტრის და სიკვდილის წინაშე „და ეხლა ჩავარდნილნი არიან უკიდურეს ზნეობრივ მწუხარებაში თავის დატყვევების გამო. კომისია, შემდეგ ყოველმხრივ გამოკვლევისა, რომელიც ეყრდნობა ჭეშმარიტ მოწმეების ჩვენებას მტკიცებს სიყალბეს გაზეთ ვოზროჟდენიეში დაბეჭდილ ცნობისა შესახებ რუსის ოფიცრების ყოფაქცევისა და რუსების მცხოვრებლებისა ბათომში.

ქალაქის კომენდანტმა და მართებლობამ დაწვრილებით იციან ყველა გარემოება ამ ომისა, იციან აგრეთვე რა მოხდა და როგორი თავდადებით ღებულობდნენ შრომას რუსის ინჟინრები, არტილერისტები და სხვა ოფიცრები დასაცავად მიხეილის ციხე-სიმაგრისა. კომისია ღრმად დარწმუნებულია რომ რუსებმა, რომელნიც იდგნენ ციხე-სიმაგრის დასაცავად, შეასრულეს თავისი მოვალეობა ბოლომდის და ერთად სხვებთან სცდილობდნენ ამ მძიმე პირობებში შეესრულებინათ, რაც შეეძლოთ განსანადგურებლათ ამ სამხედრო კატასტროფისა.

რუსის ოფიცრებს და ჩინოვნიკებს ერთ წამსაც არ გამოუჩენიათ ღალატობა თავის მოვალეობისა ბათომში.

წინაამდეგ „ვოზროჟდენი" გაზეთისა, ვამტკიცებთ, რომ როგორც რუსის ოფიცრები, აგრეთვე რუსის ჩინოვნიკები არ შესულან სამსახურში ოსმალებთან. თუ შემთხვევით ვინმე (ხელ სამმა კაცმა) ოფიცრებთაგანმა შეიძლო სამსახური ოსმალეთის ტყვეთაკარ ნაწილში, რომელსაც აქვს მიზნათ საკულტურო მშვიდობიანი შრომა, ეს საბჭოს არ მიაჩნია დასაძრახისად.

გარდა ამისა იმავე ოფიცრებს და ჩინოვნიკებს არ მიუღიათ არავითარი მონაწილეობა ფორტების შესაკეთებლად და ზარბაზნების მოსაწესრიგებლად.

ერთი სიტყვა არ უნდა ითქვას იმაზედ, რომ ვითომც რუსები ეხმარებოდნენ ოსმალოებს მოსახსნელად ზარბაზნების გასაღებებისა და სხვა და სხვა ზარბაზნების ნაწილებისა. ამ ზარბაზნების ზოგიერთი იარაღები თითონ ოსმალოებმა ნახეს. გარდა ამისა ოსმალოებს არ უთხოვნიათ რუსების და ქართველების ოფიცრებისთვის დაეხმარეთ ზარბაზნების გამოსაწყობად.

რუსების და ქართველების ოფიცრებს ოსმალებმა მისცეს მხოლოდ წინადადება, დაევესწრეთ საინჟინერო საარტილერიო და საინტენდანტო ნივთების მიღების დროსო.

გაზეთის ცნობა, ვითომც არც ერთი რუსი არ მოკლულა და არც დაჭრილა, სრულიად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, თუმცა ამაზედ კიდევ არ არის შეკრებილი ყველა ფაქტები. ჯერჯერობით დასაბუთებულია, რომ რუსის არტილერიის ოფიცრებში დაჭრილია ერთი, განკურნილით სამი (**контужены**), მათ რიცხვში ორი ძლიერ მძიმეთ; არტილერიის სალდათებში 13 მოკლულში რუსია სამი (ერთი მათგანი არის გინზბურგი სმირნოვი). რუსების რიცხვი არის 8, საზოგადო რიცხვი რუსებისა არტილერიაში ციხე-სიმაგრის დასაცავად ითვლებოდა 10 პროც.)

პირველ დღეში, როცა დაიჭირეს ოსმალოებმა ბათომი, ყველა რუსის ოფიცრები და სალდათები სხვა სამხედრო ტყვეებთან ერთად წაყვანილ იყვნენ ყაზარმებში და მათთვის ერთნაირი წესდებულობა გამოცხადდა ოსმალოს მთავრობისაგან.

როდესაც ციხე-სიმაგრე ჩაიბარეს ოსმალოებმა, იმ დღეს რუსების, ბერძნების და ქართველების სახლებზედ ერთნაირად იყო გამოფენილი თეთრი და ეროვნული დროშები. როდესაც ჩამოვიდა ბათომში ენვერ ფაშა და როდესაც ოსმალოებმა იდღესასწაულეს ხონთქრის ტახტზედ ასვლა, მაშინაც იყო გამოფენილი დროშები სახლებზედ, მაგრამ ეს დროშები არ შეადგენდნენ მხოლოდ რუსების სახლების საკუთრებას. ამაში მიიღეს მონაწილეობა სხვა ეროვნებმაც.

არავითარი დელეგაცია რუსებისა არ იყო გაგზავნილი ოსმალოს მართებლობასთან იმ მიზნით, რომ ვითომც რუსები ღებულობდნენ მონაწილეობას ომში ქართველების ძალდატანებით.

ვითომც დიდი წვეულება გაემართის წითელის ჯვრის რწმუნებულს ოსმალოს ოფიცრისათვის და ვითომც სტუმრებთან მიეპატიჟოს „ლამაზი სათნოების დები"—ეს სიცრუეა და ცილის წამება. იქ იყო მხოლოდ რწმუნებულის ამხანაგი და არა სხვები.

80 და 81 ნომრებში მოყვანილია ბევრი რამე ცილისწამება და ეს ცილისწამება ვითომც ეკუთვნოდეს ექიმს ულიავას, მაგრამ თითონ ულიავა არ იღებს ამ სიცრუეს თავის პასუხში. გარდა ამისა მიხაილოვის ციხე-სიმაგრის უფროსის მოხსენებაში არის მოყვანილი პროტესტი გაზეთში ამგვარი ჭეშმარიტი ფაქტების დამახინჯებისა. ამნაირი პროტესტი განაცხადა გენერალმაიორ მდივანმაც (№ 83) და წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებულმა, რომელიც ასაბუთებს ყოველ მოქმედებას ამ წითელ ჯვრის განყოფილებისას.

რაც კი იყო მოყვანილი გაზეთ „ვოზროჟდენიეში", რომელიც ვითომც ყოფილიყოს ბათომში ოსმალოების შემოსვლის დროს, კომისია დარწმუნებულია, ნიშნავს მტრულ მიმართულებას, მაგრამ ამნაირი მტრობა არ უნდა მიეწეროს მთელ ქართველ საზოგადოებას. ეს ცილისწამება ეკუთვნის მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც უყურებენ ყველას თავის ვიწრო ეროვნულ თვალსაზრისით.

ვწუხვართ, რომ ამგვარ ცილისწამებას შეუძლია მოიპოვოს ალაგი ბნელ ხალხში და დათესოს სიძულვილი სხვა და სხვა ეროვნებათა შორის, მაგრამ კომისიას იმედი აქვს, რომ ყოველ ეროვნებაში მოიძებნება მრავალი ძლიერი და გონიერი ადამიანი, რომელნიც მიიღებენ ზომას [illegible] ერთმანეთის მტრობის [illegible] დარწმუნებულია კომისია, რომ თავგანწირულნი მშვიდობიანი კულტურისა გამოიჩენენ თავის ძალას და სიმტკიცეს, რომ სამართლიანად მოეპყრონ ყოველ ეროვნებას და მათ რიცხვში რუსებსაც.

თავმჯდომარე კომისიისა პ. ზაჩინიაევი.
პოდპოლკოვნიკი მელნიკოვი.
პოდპოლკოვნიკი ვარანცოვი.
წევრები: კაპიტანი ვასკო.
კაპიტანი კამენსკი.
კაპიტანი ნევსკი.
თავმჯდომარე ბათომის რუსის ეროვნულ საბჭოს პ. მასლოვი.
ნამდვილთან სწორია: თავმჯდომარე საბჭოსი პ. მასლოვი.

ჩვენ ქვემორე ამის ხელმომწერნი, გავეცანით-რა იმ სტატიებს, რომელიც იყო დაბეჭდილნი გაზეთ „ვოზრაჟდენიაში" (№№ 80 და 81) სათაურით: „ბათომში" და „ოსმალოები ბათომში", ვსცანით, რომ კიდევ ამ სტატიებისა და ცნობები მთელი გარემოების შესახებ ბათომის ციხე გამაგრების დაცემისა, უსამართლოდ შეურაცხყოფენ ჩვენ მეომარ ამხანაგებს რუსის ოფიცრებს და საზოგადოდ ეს სტატიები წარმოადგენენ ცილისწამებასა და პროვოკაციას; ყველა ფაქტები, მოყვანილნი ამ სტატიებში შესახებ რუსების ყოფა-ქცევისა შემდეგ დაცემისა ბათომის ციხე-სიმაგრისა, სრულიად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

ხელს აწერენ: ყოფილ კომენდანტად ბათომის ციხე-სიმაგრისა გენერალმაიორი გედევანიშვილი.

1) პოდპორუჩიკი გუსეშვილი.
2) პორუჩიკი ტატიევი.
3) პორუჩიკი ბატიევი.
4) პორუჩიკი ცინცაძე.
5) შტაბს-კაპიტანი გვენეტაძე.
6) პოდპორუჩიკი ბუხნიკაშვილი.
7) პორუჩიკი ჩუბუკიანი.
8) შტაბს-კაპიტანი ლეჟავა.
9) პოდპორუჩიკი გვანცელაძე.
10) პრაპორშჩიკი მიქაძე.

თავმჯდომარე საბჭოსი: პ. მასლოვი.
მდივანი ვ. [illegible].
ნამდვილთან სწორია: თავმჯდომარე საბჭოსი პ. მასლოვი.

გამომცემელი
[illegible]
პასუხისმგებელი მთავარი კომიტეტისა

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი
იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (აიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 3130

ექიმი
[illegible]
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი [illegible] ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიას ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო ორგანოს სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ქ. [illegible] ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხ[illegible] შინაგან სნეულებების კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და ხახვის სნეულებისა სპეციალისტი. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. გრიბოედოვის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლ. ახლო, „ბონ-ნორის" პირდაპირ. 1029

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადერმატოლოგიო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადაზნაურთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახვის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ[illegible]ვის ქ. № 11. 426

ქ. ქუთაისი.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და [illegible] ქუჩების [illegible], სახლი [illegible]. 142

ექიმი
თიქანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნის ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, [illegible] ბინა. 1002

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ფრეილინის ქ. № 6.

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდ. გრიბოედოვის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 158

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 1 ს.-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. [illegible]: 2½—3 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიული ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. [illegible]: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რენტგენ-ლაბორატორია 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1018

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველი ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „	
გრიმმი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები	2 „	
უკრაინის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა"	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე"	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაზრო[illegible] საქართველო"	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარათოვის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარათოვის ქუჩა № 14